

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე,
მოქალაქე ნარგიზა გრძელიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის
გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და
არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი
ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის
წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189
დადგენილებისა და მოქ. ნარგიზა გრძელიძის განცხადებების (Nგ-7414 19.09.14; Nგ-8372
24.10.14), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე
საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნარგიზა გრძელიძეს / პ/ნ N60001081971/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ
ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N48 ბინაზე, საერთო ფართობი
26,00 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 26,00 კვ.მ. მოქალაქე ნარგიზა გრძელიძის
სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის
საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის
ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურღულია